

ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე
მემორიალური ალბომი

NIKOLOZ (KARLO) CHKHEIDZE
MEMORIAL ALBUM

1864-1926



ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე
მემორიალური ალბომი

NIKOLOZ (KARLO) CHKHEIDZE
MEMORIAL ALBUM

1864-1926

IDFI
Institute for Development
of Freedom of Information

2019

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ალბომის ავტორი: ანტონ ვაჭარაძე
Author of the Album: Anton Vatcharadze

დიზაინერი: ნატა ყუბანეიშვილი
Designer: Nata Kubaneishvili

წინასიტყვაობის და ბიოგრაფიის ავტორი:
ირაკლი ირემაძე
Author of foreword and biography:
Irakli Iremadze

ქართული ტექსტების რედაქტორი: ესმა მანია
Editor of Georgian texts: Esma Mania

ინგლისური ტექსტების რედაქტორი:
გიორგი ბეჟაშვილი
Editor of English texts:
Giorgi Bezhashvili

თანადგომისთვის მადლობას ვუხდით
Thank you for your support

გიორგი კლდიაშვილს
Giorgi Kldiashvili

ლევან ავალიშვილს
Levan Avalishvili

მირიან ხოსიტაშვილს
Mirian Khositashvili

ნიკოლოზ სეფიაშვილს
Nikoloz Sephiashvili

მირიან მელუას
Mirian Meloua

გიორგი მამულიას
Georges Mamoulia

ISBN: 978-9941-8-1469-3

შინაარსი

წინასიტყვაობა 4
ბიოგრაფია 8
რუსეთის იმპერიაში 12
სამი პარლამენტის თავმჯდომარე 36
პარიზი 1919 78
ემიგრაცია და აღსასრული 104

CONTENT

Foreword 6
Biography 10
In the Russian Empire 12
Chairman of the Three Parliaments 36
Paris 1919 78
Emigration and Death 104

წინასიტყვაობა

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა 1919 წლის 12 მარტს გაიხსნა. საზეიმო ნაწილის შემდეგ სხდომის დღის წესრიგში დადგა თავმჯდომარის არჩევის საკითხი. სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით, კრების წევრმა, ნოე ცინცაძემ თავმჯდომარის კანდიდატად სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ლიდერი ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე დაასახელა. ჩხეიძე სხდომას არ ესწრებოდა, თუმცა კრებამ ის ერთხმად დაამტკიცა ამ პოსტზე. ეს ფაქტი არ იყო შემთხვევითი, ჩხეიძე იყო ქართველ პოლიტიკოსთა შორის ყველაზე გამოცდილი კანონმდებელი, რომელსაც ზურგს უმაგრებდა ათწლიანი საკანონმდებლო საქმიანობა როგორც იმპერიის, ისე გარდამავალი პერიოდის რუსეთში, ამიერკავკასიის ეფემერულ რესპუბლიკასა და 1918 წლის მაისიდან – დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოში. ნიკოლოზ ჩხეიძეს ჰქონდა არა მხოლოდ რიგითი დეპუტატობის, არამედ საკანონმდებლო ორგანოსა და მისი შემადგენელი ნაწილების მართვის გამოცდილება. ის რუსეთის იმპერიის III და IV სათათბიროში ხელმძღვანელობდა ყველაზე ხმაურიან და რეჟიმთან დაპირისპირებულ სოციალისტურ ფრაქციას. 1917 წლის რევოლუციის შემდეგ სათავეში ედგა ჯერ პეტერბურგის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს, მოგვიანებით კი უკვე სრულიად რუსეთის საბჭოებს. ეს ორგანოები გარდამავალი ხანის რუსეთში, ალექსანდრე კერენსკის დროებითი მთავრობისგან განსხვავებით, რეალურ ძალაუფლებას ფლობდნენ. კარლო ჩხეიძემ 1918 წლის თებერვლიდან უკვე ამიერკავკასიის რესპუბლიკის სეიმის თავმჯდომარის პოსტი დაიკავა და უშუალოდ ხელმძღვანელობდა სამი ერისგან შექმნილი სახელმწიფოს საკმაოდ წინააღმდეგობრივ საკანონმდებლო ორგანოს. 1918 წლის 26 მაისის შემდეგ დამოუკიდებელი რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს ფუნქცია ეროვნულ საბჭოს დაეკისრა, რომელსაც დამოუკიდებლობის აქტის მიღებისას ნოე ჟორდანია თავმჯდომარეობდა, თუმცა რამდენიმე დღეში უკვე დამოუკიდებელ რესპუბლიკაში ჟორდანიას ადგილი ოფიციალური საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარის პოსტზე ნიკოლოზ ჩხეიძემ დაიკავა.

ნიკოლოზ ჩხეიძე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონტექსტში შეგვიძლია განვიხილოთ არა მხოლოდ საკანონმდებლო ორგანოს პირველ პირად, ქართული პარლამენტარიზმის ერთგვარ სიმბოლოდ, არამედ საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს იურიდიული სტატუსის

მთავარ შემოქმედადაც, რადგანაც ის თითქმის 2 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიურ მისიას პარიზის სამშვიდობო კონფერენციასა და დასავლეთ ევროპაში. ნოე ჟორდანიამ კარლო ჩხეიძისადმი მიძღვნილ გამოსათხოვარ წერილში მოკლედ დაახასიათა 34 წლის განმავლობაში მისი თანამებრძოლი: „კარლო უაღრესათ მორალური არსებაა. მასში არ ყოფილა არასდროს პატივმოყვარეობა, შური და ამაყობა. ის მეთაურობდა უდიდეს საქმეს, მაგრამ ცდილობდა წინ სხვა წამოეყენებია და თვითონ უკან დამდგარიყო... ... კარლო ღრმათ აზროვნებდა და მსუბუქი ენით იტყოდა. ის იყო მეტათ მწიგნობარი, განათლებული მოღვაწე, ჩუმი და ოხუნჯი, საზოგადოების მოყვარე და მარტოობას ჩვეული, კაბინეტის კაცი და ტრიბუნი, თბილის გულის და ცივი გარეგნობის, ნაზი ნერვების და მშრალი გონების – კარლო ერთობ რთული მორალური პიროვნებაა, ბევრისთვის ბლომათ უცნობად დარჩენილი. კარლო კერძო დამოკიდებულებაში იშვიათი ადამიანი იყო. არასდროს არ მომხდარა, რომ ის ვინმეს წაკიდებოდეს, ვინმე ცუდათ ეხსენებიოს, რომ ინტრიგაში მონაწილეობა მიეღოს... მუდამ მის სიტყვას ყველა გულდასმით ისმენდა. მასში მუდამ მოსჩანდა ღრმა დაკვირვება და გულრწფელობა“...

ნიკოლოზ ჩხეიძის პოლიტიკურ და დიპლომატიურ საქმიანობასთან, ისევე როგორც მის თანამებრძოლებთან და, ზოგადად, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან დაკავშირებული ფაქტები და ისტორიები საბჭოთა რეჟიმმა 70 წლის განმავლობაში ან სრულებით დაამახინჯა, ანაც საერთოდ უარყო. თანამედროვე საქართველოში ეტაპობრივად მიმდინარეობს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა, საზოგადოებამდე მიტანა და პოპულარიზაცია. წინამდებარე ალბომი ამ გზაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯია, რადგანაც ეს იქნება სრულფასოვანი პუბლიკაცია დოკუმენტებითა და ფოტოებით XX საუკუნის საქართველოს ერთ-ერთი მთავარი პოლიტიკური ფიგურის შესახებ.

ალბომში გამოყენებულია საქართველოს ეროვნული არქივის, შსს არქივის და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მასალები. ზოგიერთი დოკუმენტი და ფოტო ინტერნეტ-სივრცეში, ღია დაშვებაში იყო განთავსებული.

FOREWORD

First Session of the Constituent Assembly of the Democratic Republic of Georgia opened on March 12, 1919. After the opening ceremony, the main agenda of the session was choosing a chairman. On behalf of the Social-Democratic faction, Noe Tsintsadze, a member of the council, named one of the founders and leader of the Social Democratic Party Nikoloz (Karlo) Chkheidze as a candidate for chairman position. Chkheidze did not attend the session, but the Assembly unanimously approved his post. This fact was not accidental - Chkheidze was the most experienced lawmaker among Georgian politicians with ten-year experience in legislative work in the Russian Empire, the transition period in Russia, the Republic of Transcaucasia and, since May 1918, in the independent Georgian state. Nikoloz Chkheidze had not only the experience of an ordinary MP, but also expertise in management of the legislative body and its parts. He led the III and IV State Duma of the Russian Empire, leading the loudest opposing socialist faction. After the revolution of 1917, he led the Petrograd Soviet of Workers and Soldiers Deputies and later the All Russian Councils. Unlike the temporary government of Alexander Kerensky, these bodies had real power during the transitional period in Russia. Since February 1918, Karlo Chkheidze held the post of Chairman of the Transcaucasian Sejm and led the very contradictory legislative body of the State of three different nations. After May 26, 1918 the function of the legislative body of the independent republic was taken by the National Council of Georgia, which was chaired by Noe Zhordania during the adoption of the Act of Independence, but in several days Nikoloz Chkheidze took the chairman's position of the legislative body.

In the context of the Democratic Republic of Georgia, we can consider Nikoloz Chkheidze not only as a symbol of Georgian legislation or as the first chairman of the legislative body, but also the main creator of the legal status of Georgia on the international arena, as he had been in charge of the Diplomatic Mission at the Paris Peace Conference and Western Europe. In his letter, Noe Zhordania briefly described his companion for 34 years, Karlo Chkheidze: „He is a very moral person. There was no vigilance, envy and pride in him. He headed the most important business but always tried to put other people forward and himself stay in the shade… He minded deeply and was speaking with a light language. He was an educated public figure, quiet and humorous, lover of society and accustomed to loneliness, cabinet person and orator, with a warm heart and cold appearance, sensitive nerves and dry mind – Karlo was not easy going person, for many staying as a stranger. He was exclusive in personal affairs. He never argued, or badly mentioned somebody, never involved in intrigues… His words were always attentively listened to by others. He always observed deeply and was sincere…"

Nikoloz Chkheidze's political and diplomatic activities, the facts and stories related to him, his comrades and the Democratic Republic of Georgia in general for 70 years have been dismissed or altered by the Soviet regime's false historiography. In modern Georgia, the study of the issues related to the Democratic Republic is active, revealing the truths and bringing real facts to the daylight. This album is an important step in this way, since it will be a full-fledged publication of documents and photographs of one of the main political figures of Georgia in the 20th century.

The materials preserved in the National Archives of Georgia, the MIA Archive and the National Parliamentary Library of Georgia have been used in the album. Some documents and photos were taken from the public domain.

კარლო ჩხეიძე თავის უკანასკნელ წლებში (უთარიღო)
რუსი სოციალისტ-რევოლუციონერების ლიდერი, ვიქტორ ჩერნოვი თავის მემუარებში იხსენებდა: „რომ მოენდომებინა, ჩხეიძე რევოლუციის დროებითი მმართველობის ცენტრში მოექცეოდა: რეალური ძალა საბჭოების ხელში იყო. მან ეს არ ისურვა, უკიდურესად მოკრძალებული პიროვნება იყო. ამ თვისებას ბევრი პოლიტიკურ არენაზე თავიდანვე ივიწყებს, რადგან მასების წინაშე გამოსვლები უწევთ. შეიძლება, მის შემთხვევაში ძალაუფლების შიშმაც თავისი სიტყვა თქვა. პოლიტიკურ მოღვაწეებს შორის ორი სახის პიროვნებას გამოვყოფ: ვისშიც ადამიანური ღირსებებიც ფარავს ნაკლს და ვისი ნაკლიც იმთავითვე ჯაბნის ყოველგვარ ადამიანურ ღირსებას. ამ ორს შორის ჩხეიძე, უდავოდ, პირველს მიეკუთვნებოდა“.

KARLO CKHEIDZE IN HIS LAST YEARS (date unknown)
Viktor Chernov, the leader of the Russian Socialist-Revolutionary party, recalled in his memoirs: „Upon wish, Chkheidze could’ve been at the center of the Interim Governance of the Revolution: the real power was in the hands of the Councils. He did not want this: Chkheidze was a very modest person. This is a feature that has been forgotten by many from the political arena, as there are frequent speeches in front of the crowds. The fear of power can be considered as one of his weaknesses. I identify two types of personalities among political figures: one whose human dignity covers the shortcomings of the same person and the other whose deficits discredit all human dignity. Chkheidze was indeed among the first category among the two.“

ფოტო დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში
The photo is preserved at the National Archives of Georgia

ბიოგრაფია

ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე დაიბადა 1864 წლის 9 აპრილს იმჟამად შორაპნის მაზრის სოფელ ფუთში, ტახტის აზნაურის ოჯახში. სოფლის დაწყებითი სკოლის დასრულების შემდეგ სწავლა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში განაგრძო, თუმცა მოსწავლეთა გამოსვლებში მონაწილეობის გამო გიმნაზია ვერ დაასრულა. ამავე მიზეზით გარიცხეს ოდესისა და ხარკოვის უნივერსიტეტებიდანაც. იმ პერიოდში გაეცნო ხალხოსნურ პოლიტიკურ იდეებს და მისი მიმდევარი გახდა. საქართველოში დაბრუნების შემდეგ მუშაობდა ჭიათურაში, სადაც დაუკავშირდა მომავალში ქართული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის დამფუძნებლებს, პირველ რიგში, ეგნატე ნინოშვილს. 1892 წლის 25 დეკემბერს მონაწილეობა მიიღო „მესამე დასის“ პირველ შეკრებაში, რომელიც დაბა ყვირილაში შედგა. თავდაპირველად ის დასის „ნაროდნიკულ“ ნაწილს წარმოადგენდა, თუმცა შემდგომში დასის სხვა წევრებისა და ნოე ჟორდანიას გავლენით ევროპული სოციალ-დემოკრატიული იდეების მიმდევარი გახდა.

საქართველოში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ჩამოყალიბების პირველ ეტაპზე, 1900-იანი წლებიდან კარლო ჩხეიძე ბათუმში გადავიდა. ჩხეიძემ და მესამე დასის კიდევ ერთმა ლიდერმა, ისიდორე რამიშვილმა ბათუმის ქართულ სკოლაში მასწავლებლობა დაიწყეს. ორმა თანამოაზრემ ბათუმში მალევე შექმნა მუშათა საკვირაო სკოლები და კითხვის წრეები, ჩამოაყალიბა სოციალ-დემოკრატიული არალეგალური გაერთიანება, რომელიც შემდგომში პარტიის ბათუმის ორგანიზაციად გარდაიქმნა. 1898 წელს კარლო ჩხეიძე ბათუმის ქალაქის ხმოსნად აირჩიეს, ამავდროულად, იყო ბათუმის ქალაქის საავადმყოფოს გამგე. აქტიური პოლიტიკური საქმიანობის პარალელურად აქვეყნებდა სტატიებს სოციალ-დემოკრატების ჟურნალ „კვალში“.

ქართული სოციალ-დემოკრატიის რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან (რსდმპ) შეერთების შემდეგ კარლო ჩხეიძე მენშევიკური ფრაქციის წევრი გახდა. ხელმძღვანელობდა რსდმპ-ს ბათუმის ორგანიზაციას, 1905 წელს იყო ბათუმში რევოლუციური გამოსვლების ხელმძღვანელი. შემდგომში სათავეში ედგა პარტიულ ორგანიზაციას გურიაში. 1907 წელს აირჩიეს თფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსნად, 1907 წელს – რუსეთის III სათათბიროს წევრად, თფილისის გუბერნიისათვის გამოყოფილი მანდატით, 1912 წელს – კვლავ დუმის დეპუტატად. სათათბიროში ხელმძღვანელობდა სოციალ-დემოკრატთა ფრაქციას.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ თავმჯდომარეობდა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს, მალევე გახდა სრულიად რუსეთის საბჭოების თავმჯდომარე. როგორც შესავალში აღვნიშნეთ, დასახელებული პოლიტიკური ორგანო რამდენიმე თვის განმავლობაში რუსეთის იმპერიის პოლიტიკის განმსაზღვრელი უმთავრესი სტრუქტურა იყო. 1917 წლის ბოლოს აირჩიეს რუსეთის დამფუძნებელი კრების წევრად. ამავე პერიოდში კარლო ჩხეიძის ცხოვრებაში

მოხდა დიდი ტრაგედია, მის მცირეწლოვან შვილს, სტანისლავს თამაშისას იარაღი გაუვარდა და დაიღუპა. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ კარლო ჩხეიძე სამშობლოში დაბრუნდა. 1917 წლის ნოემბერში გახდა საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი, 1918 წლის თებერვალში კი – ამიერკავკასიის სეიმის თავმჯდომარე.

1918 წლის 26 მაისს, როგორც საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრმა, ხელი მოაწერა დამოუკიდებლობის აქტს. 1918 წლის მაისის ბოლოს ნოე ჟორდანიას ნაცვლად აირჩიეს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარედ. 1919 წლის იანვარში, როგორც პარლამენტის თავმჯდომარე, დაინიშნა პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის ხელმძღვანელად და ამ მოვალეობას თითქმის 2 წლის განმავლობაში ასრულებდა. 1919 წლის დამფუძნებელი კრების არჩევნებზე იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საარჩევნო სიის მეორე ნომერი პარტიის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას შემდეგ. 1919 წლის თებერვალში დამფუძნებელი კრების წევრად, 1919 წლის 12 მარტს კი დამფუძნებელმა კრებამ პირველივე სხდომაზე ერთხმად აირჩია დამფუძნებელი კრების თავმჯდომარედ. საქართველოში არყოფნის გამო კრების თავმჯდომარის მოვალეობას ძირითადად მისი პირველი ამხანაგი (მოადგილე), ალექსანდრე ლომთათიძე ასრულებდა. 1920 წლის დეკემბერში კარლო ჩხეიძე დაბრუნდა საქართველოში და უშუალოდ უძღვებოდა სხდომებს. 1921 წლის მარტში, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ, დამფუძნებელი კრების დადგენილებით, დამფუძნებელი კრებისა და მთავრობის წევრების ერთ ჯგუფთან ერთად დატოვა საქართველო და ემიგრაციაში წავიდა საქართველოს განთავისუფლებისთვის ბრძოლის გასაგრძელებლად. ემიგრაციაშიც არ შეუწყვეტია პოლიტიკური საქმიანობა. ოჯახთან ერთად ცხოვრობდა ლევილის ქართულ მამულში. მცირე ხანში კარლო ჩხეიძის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა. იმ პერიოდის წერილებში ნათლად ჩანს მისი მძიმე ფიზიკური და მორალური მდგომარეობა. 1926 წლის 7 ივლისს ლევილის მამულში თვითმკვლელობა სცადა, რის შემდეგაც ყელის მძიმე დაზიანებით მოათავსეს კლინიკაში, სადაც მისი გადარჩენა ვერ შეძლეს და 1926 წლის 11 ივლისს გარდაიცვალა. კარლო ჩხეიძის დაკრძალვას პარიზის ისტორიულ, პერ-ლაშეზის სასაფლაოზე ქართული პოლიტიკური ემიგრაციის და ევროპელი სოციალისტების სპექტრი ესწრებოდა.

კარლო ჩხეიძეს ჰყავდა მეუღლე ალექსანდრა ტაგანოვა და ოთხი შვილი: სტანისლავი, ნატა, ლიდუსი და ვერონიკა. 1921 წლიდან, ემიგრაციაში კარლო ჩხეიძეს და მის მეუღლეს მხოლოდ ვერონიკა გაჰყვა, რასაც ადასტურებს კარლო ჩხეიძის დიპლომატიური პასპორტი და მასში დაფიქსირებული ოჯახის წევრების ვინაობა. მეუღლე, ალექსანდრა ტაგანოვა 1943 წელს გარდაიცვალა და კარლო ჩხეიძის გვერდით, პერ-ლაშეზის სასაფლაოზეა დაკრძალული. ვერონიკა ჩხეიძეს და მის მეუღლეს, ანატოლ გრასმანს შვილები არ ჰყოლიათ, ასევე უცნობია კარლო ჩხეიძის კიდევ ორი ქალიშვილის ბედი.

BIOGRAPHY

Nikoloz (Karlo) Chkheidze was born on April 9, 1864, in the village of Puti, Shorapani district, in the family of a Nobleman (Aznaur). After completing primary school in the village, he continued his studies at the Kutaisi Classical Gymnasium, which he didn't complete due to his participation in public protests. He was excluded from Odessa and Kharkiv universities for the same reasons. During this period, he got acquainted with the Narodnik political ideas and became a follower of the ideology. After returning to Georgia, he worked in Chiatura, where he contacted one of the founders of the Georgian Social-Democratic Movement, Egnate Ninoshvili. On December 25, 1892, he participated in the first meeting of the Mesame Dasi (first social-democratic party in the Caucasus), which took place in the small Georgian town of Kvirila. Initially, he was among the Narodnik wing of the party, but was subsequently influenced by other members of the organization, especially Noe Zhordania, and started following European social-democratic ideas.

Karlo Chkheidze moved to Batumi from in the early 1900s during the first stage of the establishment of the social-democratic movement in Georgia. Chkheidze and another leader of the Mesame Dasi, Isidore Ramishvili, started teaching at a school in Batumi. The two associates soon created Sunday Schools and reading circles in the Batumi Social-Democratic Illegal Union, which later transformed into the Batumi organization of the Social-Democratic Party. In 1898, Karlo Chkheidze was elected to the Batumi City Councils as a deputy, at the same time he was head of administration at the Batumi city hospital. In parallel with his political activities, Chkheidze published articles in the Social-Democratic magazine Kvali.

After merging the Georgian Social-Democrat party with the Russian Social-Democratic Party (RSDP), Karlo Chkheidze became a member of the Menshevik Faction. He led the RSDP's Batumi organization, and in 1905, he was delivering revolutionary public speeches in Batumi. Later he was the leader of the party organization in Guria. In 1907, he was elected in the Tiflis City Councils, and the same year Chkheidze became a member of the Russian Third Duma, mandated from the Tiflis Governorship. In 1912, he became an MP once more, leading the Social-Democrats faction.

Karlo Chkheidze chaired the Petrograd Workers and Soldiers' Council after the February Revolution of 1917. As mentioned in the introduction, this political body had the main structure defining the policy of the Russian Empire for several months. By the end of 1917, he was elected as a member of Russia's Constituent Assembly. At the same time a great tragedy in Karlo Chkheidze's life happened: his young son, Stanislav, was playing with his father's pistol and accidently pulled the trigger and died. Karlo Chkheidze returned to his homeland after the October Uprising. In November 1917, he became a member of the Georgian National Council and in February 1918 – Chairman of the Transcaucasian Sejm.

On May 26, 1918, as a member of the Georgian National Council, Karlo Chkheidze signed the Act of Independence of Georgia. By the end of May 1918, instead of Noe Zhordania, he was elected as Chairman of the National Council. In January 1919, as the Chairman of the Parliament, he was appointed as the Head of the Delegation of the Democratic Republic of Georgia at the Paris Peace Conference and has fulfilled this obligation for almost 2 years. In 1919, at the election of the Constituent Assembly, he was second in the Social Democratic Workers Party of Georgia party

list following Noe Zhordania, the chairman of the party. On March 12, 1919, he became the chairman of the Constituent Assembly unanimously at the first session. Because of not being in Georgia, the first comrade (deputy) of the chairman of the assembly Aleksandre Lomtatidze was chairing the sessions. In December 1920, Karlo Chkheidze returned to Georgia and directly led the sessions. In March 1921, after the occupation of the Democratic Republic of Georgia by Soviet Russia, with the resolution of the founding council, together with a group of members of the Constituent Assembly and one of the members of the government, he left Georgia and emigrated to continue to fight for the liberation of Georgia. Emigration did not stop his political activities. He lived with his family in the land bought by the Georgian government near Paris, in Leuville-sur-Orge. In a short time Karlo Chkheidze's health condition worsened. In the letters of that period, his hard physical and moral condition can clearly be seen. On July 7, 1926, he tried to commit suicide in his house in Leuville, and was transferred to the hospital where he died on July 11, 1926. Karlo Chkheidze's funeral on the historical Pere Lachaise cemetery of Paris was attended by the Specter of Georgian political emigration and European socialists.

Karlo Chkheidze was married with Alexandra Taganova and had four children: Stanislav, Nata, Lydusy and Veronique. In 1921, Karlo Chkheidze and his spouse emigrated, only accompanied by Veronique which is confirmed by the section of Karlo Chkheidze's diplomatic passport where family members are identified. His wife, Alexandra Taganova, died in 1943 and was buried next to Karlo Chkheidze, at the Pere-Lachaise cemetery. Veronique Chkheidze and his wife, Anatol Grassman, had no children, and the fates of the remaining two daughters of Karlo Chkheidze are unknown.

ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე ოჯახთან ერთად
Nikoloz (Karlo) Chkheidze with family

ვერონიკა ჩხეიძის კოლექცია
Veronique Chkheize Collection

რუსეთის იმპერიის მეოთხე სათათბირო დუმა. პრეზიდიუმში კარლო ჩხეიძე (1917 წელი)

THE FOURTH STATE DUMA OF RUSSIAN EMPIRE. KARLO CHKHEIDZE IN THE PRESIDIUM (1917)

ვერონიკა ჩხეიძის კოლექცია
Veronique Chkheize Collection

რუსეთის იმპერიაში
IN THE RUSSIAN EMPIRE

N1

N2

კარლო ჩხეიძის დაბადების საქტო ჩანაწერი. იმერეთის ეპარქიის სოფელ ფუთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მეტრიკული წიგნი
(9 აპრილი, 1864 წელი)

KARLO CHKHEIDZE'S BIRTHDAY RECORD. THE PARISH REGISTER OF IMERETI EPARCHY, THE VILLAGE OF PUTI
(April 9, 1864)

დოკუმენტი დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში
The document is preserved at the National Archives of Georgia

სასწავლო დაწესებულებები, რომლებშიც კარლო ჩხეიძე სწავლობდა:
N1: ჭუთაისის კლასიკური გიმნაზია, 1870- 80-იანი წლები.
ფოტო დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში
N2: ნოვოროსიისკის უნივერსიტეტი ოდესაში, ირიცხებოდა თავისუფალ მსმენელად ფოტო ინტერნეტიდან
N3: ხარკოვის ვეტერინარული უნივერსიტეტი (1889-1890) გარიცხეს სტუდენტურ გამოსვლებში მონაწილეობის გამო

EDUCATIONAL INSTITUTIONS AT WHICH CARLO CHKHEIDZE STUDIED:
N1: Kutasisi Classical Gymnasium, 1870s and 80s
The document preserved at the National Parliament Library of Georgia
N2: Novorossiysk University in Odessa – attended classes as a free listener
N3: Kharkov Veterinary University, 1889-1990 – was expelled for participating in students' demostrations

ფოტო ინტერნეტიდან
Photo from the Internet

Manifest

der

Kommunistischen Partei.

Veröffentlicht im Februar 1848.

Proletarier aller Länder vereinigt Euch!

London.

Gedruckt in der Office der „Bildungs-Gesellschaft für Arbeiter"
von J. E. Burghard.

46, Liverpool Street, Bishopsgate.

1848 წლის 21 თებერვალს კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის მიერ ლონდონში დაბეჭდილი საეტაპო ნაშრომი - „კომუნისტური პარტიის მანიფესტი"
კარლო ჩხეიძე პირველი იყო, ვინც 1890-იან წლებში ეს ნაშრომი ქართულად თარგმნა.

THE COMMUNIST MANIFESTO – THE MOST INFLUENTIAL POLITICAL PAMPHLET BY KARL MARX AND FRIEDRICH ENGELS, ISSUED IN LONDON February 21, 1848.
Karlo Chkheidze was the first who translated the pamphlet into Georgian in 1890s.

ფოტო ინტერნეტიდან
Photo from the Internet

კარლო ჩხეიძის ახალგაზრდობაში
(უთარიღო)

KARLO CHKHEIDZE IN HIS YOUTH
(without date)

ფოტო ინტერნეტიდან
Photo from the Internet



ბათუმის სკოლები /ჯიგა/ გაზეთი 1902 წ.

ჩემი მოგონება.

1896 წ. 13 წლის ვიყავი ქ.ბათუმში, როცა მიდის ნაცვის ქარხნის ბუნის განყოფილებაში დაიწყე მუშაობა ბათუმიდანვე გაყვები მძიმე უღელში. ქარხნის აუცილებელ პირობებში პატივსაცემი შრომით ნაბეჭავი მძიმეში, ვიჩხენდი ამას ვუწყ დარიბ მშობლებს უხმარებოდი.

მაგ დიდი სურვილი ქონდაც ჩემთვის სწავლა-განათლება მიეღებინებინა, - მაგრამ სურვილი სურვილად დარჩა.

სოციალისტურ საბჭოთა ქვეყანაში კი ამგვარ განსხვავებას ცხოვრებაში ადგილი არ აქვს. ამის ნათელი მაგალითი ჩვენს ირგვლივ ასე რიგი იყო: სწავლა-განათლებას ღებულობენ ამავე ადგილის მუშათა და ჩარჩ-ვაჭრების შვილები. მაშასადამე სწავლა-განათლება ხელმისაწვდომი იყო.

დავიწყე თუ არა ბათუმში ცხოვრება, სწავლა-განათლებით დაინტერესებულმა და ამასვე დროს სკოლის კარები დაჩხენილმა ხელი მივყევი ინტელიგენციის შვილებს, დავდიოდი საკითხით სკოლაში, სადაც მასწავლებლებს ისიდორე რამიშვილი, კარლო ჩხეიძე და სხვანი დროს ვკითხულობდი: აკაკის და ილიას წიგნებს, აკაკის, გიორგი საკაძეს/დიდი მოყვარე ვიყავ. "კვალის" და სხ. ქართულ წიგნებს.

ბათუმიდანვე დაკავშირებული ვიყავი სავაჭრო და საგემო საქმის. ცოტა ხანი აკრძალული საქმის კვალობა-ზე ბევრის ბიოგრაფიის საგანს შეადგენდა ხოლმე. - სწორედ



მოგონებები კარლო ჩხეიძისა და ისიდორე რამიშვილის ბათუმის საკვირაო სკოლაში მასწავლებლად მუშაობისა და რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობის შესახებ
(1896-1902 წლები)

MEMORIES OF VARIOUS PERSONS ABOUT KARLO CHKHEIDZE AND ISIDORE RAMISHVILI'S WORK AS TEACHERS IN BATUMI SUNDAY SCHOOL AND PARTICIPATION IN A REVOLUTIONARY MOVEMENT
(1896-1902)

დოკუმენტები დაცულია საქართველოს შსს არქივში
The documents are preserved at the MIA Archive of Georgia



ПЕРВЫЕ ШАГИ РЕВОЛЮЦИОННОЙ ДЕЯТЕЛЬНОСТИ
МАКСИМА ГОРЬКОГО.

Девяностые годы были годами пробуждения общественной мысли.

Рост капитализма в стране предопределил выступление пролетариата на политическую арену.

Марксизм прокладывал путь в среду рабочего класса России и ее окраин.

"Первые семена марксизма были занесены в Закавказье в первой половине 90-х годов высланными царским правительством из центральных районов России русскими социал-демократами (Иосиф Коган, Иван Лузин, Г.Франчески и др.), с одной стороны, и легальными марксистами из грузин, побывавшими за границей (Ной Жордания, Карло Чхеидзе и др.), - с другой".

([illegible] - "К вопросу об истории большевистских организаций в Закавказье").

Складывавшаяся жизнь и деятельность великого художника пролетариата Максима Горького, находилась в неразрывной связи с новой эпохой борьбы российского пролетариата за освобождение человеческого общества от строя эксплоатации.

Идеалы революционно-мыслящего пролетариата и интеллигенции становятся идеалами Горького. Исторический ход развития общества и индивидуальный склад

მოგონება - „მაქსიმ გორკის რევოლუციური მოღვაწეობის პირველი ნაბიჯები“ (1898-1899 წლები)
ციტატა: „მარქსიზმის პირველი თესლები ამიერკავკასიაში 90-იან წლებში გადასახლებულმა რუსმა სოციალ დემოკრატებმა ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ საზღვარგარეთ მცხოვრებმა ქართველმა მარქსისტებმა (ნოე ჟორდანია, კარლო ჩხეიძე და სხვები) შეიტანეს“.

MEMOIR – „MAXIM GORKY'S FIRST STEPS OF REVOLUTIONARY ACTIVITIES“ (1898-1899)
Citation: „The first seeds of Marxism were planted in Transcaucasia in the 1890s by Russian social democrats on the one hand and by the Georgian Marxists on the other (Noe Jordania, Karlo Chkheidze and others)“.

დოკუმენტი დაცულია საქართველოს შსს არქივში
The document is preserved at the MIA Archive of Georgia



Совершенно секретно.

№ 501.

27 февраля 98 г.

В отчет на шифрованную телеграмму Вашего высокоблагородия об аресте Франчевского имею честь сообщить, что из задержанных при обыске здесь бумаг и показаний спрошенных по сему делу лиц видно что к Франчевскому весьма близок и часто посещал его Карл Чхеидзе агент филоксерного комитета кроме того г.Франчевского посещали многие рабочие он содержал кассу для вспомоществования рабочим. Кроме того имеется указание что Франчевский глава революционного кружка именующего при стачках себя марксистами. В виду сего благоволите немедленно же произвести обыск в порядке охраны как у Чхеидзе так и по тем Батумским адресам какие выберете из бумаг Франчевского. Поступив с обысками по результатам обысков т.е.в случае нахождения у него не только явно преступного но в вообще несомненных указаний на сношения с Франчевским на почве кассы и рабочего вопроса. Установите как велика наличность [illegible] в где таковые хранятся для немедленного же обыска ее и выемки всех бумаг т.к. таким путем будут выяснены и все их члены. Одновременно прошу вас сделать сношение с Батумскою почтово-

Помощнику Нач-ка Куб.губ.жанд.Упр-ая в Батумском округе.

- 2 -

телеграфною конторой о задержании корреспонденции на имя г.Франчевского и тех лиц которых признаете возможным арестовать впредь до распоряжения о ее выемке и выяснить в чьей фотографии в Батуме печатались карточки Карла Маркса и установить сколько именно таких карточек было ею изготовлено и когда именно и по чьему именно заказу Франчевского со всем что найдено у него по обыску прошу выслать в Тифлис в мое распоряжение.

Верно полковник Дебиль.

Архив Тбил.Фил.ИМЭЛ. Ф.21,д.166, л. 176-177.

В е р н о:
Зав.фонд.секц.Сталина
Тбил.Фил.ИМЭЛ при ЦК ВКП(б)
(Жукуков)

აგენტურული ჩანაწერი კარლო ჩხეიძის ბათუმში მოღვაწეობის თაობაზე
(21 თებერვალი, 1898 წელი)
ბათუმში ყოფნისას კარლო ჩხეიძე ოფიციალურად ფილოქსერას წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტში მუშაობდა, თუმცა ფარულად ჩართული იყო რევოლუციურ მოძრაობაში, რაც „მეფის ოხრანკის“ აგენტებმაც იცოდნენ.

SPY RECORD ABOUT KARLO CHKHEIDZE'S ACTIVITIES IN BATUMI
(February 21, 1898)
While in Batumi, Karlo Chkheidze officially worked in the Phylloxera Committee, but was also secretly involved in the revolutionary movement, what was known by the agents of the royal *Okhranka*.

დოკუმენტი დაცულია საქართველოს შსს არქივში
The document is preserved at the MIA Archive of Georgia



Секретно.

Отдельного
Корпуса Жандармов
Ротмистр Конисский.

15 марта 1898 г.
№ 70.
гор.Тифлис.

На предписание от 9 марта с/г. за № 665 имею честь донести вашему высокоблагородию, что в дальнейшем производстве осмотра корреспонденции Карла Чхеидзе надобности не встречается.

Ротмистр Конисский.

Сообщ.Ротмистру Федорову.

Господину Начальнику Тифлисского Губернского Жандармского Управления.

Архив Тбил.Окр.ИКМД.
Ф.31, л.166, д.246.

Верно:
Зав.фонд.секц.Сталина
Тбил.Окр.ИКМД при ЦК ЗКП(б)
(Жуникова)



მოგონება ამხანაგ სტალინზე.

1902 წ. ჩვენის ცნის მა.სახელოსნოში მოწყობილ გაფიცვას აქტიური მონაწილეობისათვის სამუშაოდან იმიხოვეს.გაფიცვის სამუშაო იარაღების ქარხანაში.აქაც გაფიცვაში მონაწილეობისათვის იმიხოვეს.

ამ ორს მიმიბა ბათომში გადასვლა სამუშაო.ჩასვლისას ბათომში შემხვედ ვასა მგელაძე და კობა კანდელაკი /ლეონის ჩამიმსგ./ რომელთანაც ურთად ვიყავით მუშაობა პოლიტიკურ საქმეში. კობა კანდელაკი მუშაობდა კაპიანის ქარხანაში

ჟანდარმერიის გაეცნო ყველა წერილის ჩამოყალიბება,ვაგვირგინა ხელმძღვანელი. ამისათვის ჩვენ ერთს ეიწრო ცნის კვალზე მოვიწვიეთ მოსაუბრებლად კარლო ჩხეიძე და საშა ჯუღაშვილი. წერილში მუშაობის ხელმძღვანელობაზე მაგან ყური მიაგდო, რადგანაც საშა პოლიტიის მიერ უკვე შეზრდული იყო. და მიტოვა ბათუმიდან. კარლომ ყური დაგვიგდო აქ არაერთგზური მუშაობა შეუძლებელიათ. იძულებული გავხდი გვესწრაფა ქუთაისში მ.ბოჟორიძისათვის რომ ბათომში ავასობით მუშაობა. არავითარი მუშაობა არ არის და გამოუგებელი ხელმძღვანელი. მისმა გამოშიგებამ ამხანაგი სტალინ, რომელიც ჩამოსულიყო ბათომში შეეცდა მუშაობას და სულ მოკლე ხანში დიდებული წერილი ჩამოაყალიბა.

ქანდარმერიის როტმისტრის წერილის ასლი თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსისადმი
(15 მარტი, 1898 წელი)
როტმისტრი წერს, რომ კარლო ჩხეიძის კორესპოდენციის წაკითხვა სამომავლოდ საჭიროებას აღარ წარმოადგენს.

THE COPY OF GENDARMERIE RITTMEISTER'S LETTER TO THE HEAD OF THE GENDARMERIE DIVISION OF TBILISI PROVINCE
(March 15, 1898)
The Rittmeister writes in the letter that Karlo Chkheidze's correspondence is no longer needed to be read.

დოკუმენტი დაცულია საქართველოს შსს არქივში
The document is preserved at the MIA Archive of Georgia

მოგონება - „ამხანაგი სტალინი /კობა/ ბათომში 1902 წ."
მოგონებაში საუბარია იოსებ სტალინის ადრეულ წლებსა და მის კავშირზე კარლო ჩხეიძესთან, რომელმაც არ ისურვა სტალინის წრესთან თანამშრომლობა.

MEMOIR „COMRADE STALIN /KOBA/ IN BATUMI IN 1902"
The memoir is about the early years of Joseph Stalin and his connection with Karlo Chkheidze, who refused to cooperate with Stalin's circle.

დოკუმენტი დაცულია საქართველოს შსს არქივში
The document is preserved at the MIA Archive of Georgia



№ 1607

Копия

Секретно.

4 апреля 902 г.

В Департамент полиции.

Имею честь донести Департаменту Полиции, что по дознанию в порядке 1035 ст. о Викторе Курнатовском, Ипполите Франчески и других обвиняемых в государственном преступлении предусмотренном 252 и 318 ст. ст. Улож. о Наказ. (Лит. А. представлень 19 июля 1901 г. за № 3081) допрошен в качестве обвиняемого в преступлении предусмотренном 250 и 318 ст.ст.Улож. о Наказ. бывший редактор грузинского журнала "Квали" Ной Николаев Жордания, упомянутый в донесении моем от 10 декабря 1901 года за № 5406. Допросами названного Жордания производившимися каждый день с 23 февраля сего года по 21 минувшего марта выяснен об ширный круг лиц бывших в предосудительной переписке в сношениях с Ноем Жорданием, и которые из коих привлечены уже обвиняемым по сему дознанию, другие же подлежат привлечению. Из выясненных лиц обращают на себя особое внимание по своей вредной деятельности Иосиф Какабадзе, Карл Чхеидзе, Филипп Гомчишвили, Владимир Дарчиев, Николай Каврнев, Семен Саларидзе, Сесон Джакели и другие, состоявшие корреспондентами Квали. Установлены также сношения Ноя Жордания с эмигрантом Алексеем Гогохиею, упомянутым в предписаниях Департамента полиции от 13 марта и 14 июля 1900 года за № 555 и 1434, приезжавшим по сведениям Департамента полиции по поручению наших эмигрантов

и др.

ამონაწერი ნოე ჟორდანიას დაკითხვის საიდუმლო ოქმიდან
(4 აპრილი, 1902)
ოქმის თანახმად, ნოე ჟორდანიას დაკითხვა ოხრანკის აგენტების მიერ ინტესნიურად მიმდინარეობდა 1902 წლის 23 თებერვლიდან 21 მარტის ჩათვლით, სადაც გამოვლინდა იმ პირთა წრე, რომლებსაც ნოე ჟორდანიასთან აქტიური მიმოწერა ჰქონდათ, მათ შორის სახელდება კარლო ჩხეიძეც.

EXTRACT FROM THE SECRET PROTOCOL OF NOE ZHORDANIA'S INTERROGATION (April 4, 1902)
According to the protocol, from February 23 to March 21, 1902, Noe Jordania's interrogation was conducted intentionally by the *Okhranka* Agents. Circle of persons who had intensive correspondence with
Noe Zhordania was revealed, including Karlo Chkheidze.

დოკუმენტი დაცულია საქართველოს მსს არქივში
The document is preserved at the MIA Archive of Georgia

კარლო ჩხეიძის სიტყვა წარმოთქმული ილია ჭავჭავაძის დასაფლავებაზე,
გამოქვეყნებულია გაზეთში „ჩვენი გზა“ (11 სექტემბერი, 1907)
საბჭოთა პროპაგანდის დამსახურებით, სოციალ-დემოკრატებს ხშირად „ილიას იდეურ მტრებად“ მოიხსენიებენ. საწინააღმდეგოს ამტკიცებს კარლო ჩხეიძის მიერ წარმოთქმული სიტყვა ილია ჭავჭავაძის დასაფლავებაზე: „შენი მოკვლის გაგონების შემდეგ ბუკსა და ნაღარას სცემენ ქვენა მისწრაფებებით და მურტალი მიზნით, თითქო შენთან ერთად მოიკლა მთელი ხალხი. ასეთები ვერა ხედავენ, რომ ამით იგინი ვერ აჭარწყლებენ შენი ნიჭის საუკეთესო ნაყოფს. ვერა ხედავენ, რომ ის ხალხი, რომელმაც შეისისხლხორცა ის, რაც შენ მოღვაწეობაში საუკეთესო იყო, უარჰყო ის, რაც მის საერთო ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა შენ წარსულ მოღვაწეობაში, ასეთი ხალხი ვამბობთ, უკვდავია და არც პასუხს აგებს თუ მის შორის ვინმემ მტარვალობა ჩაიდინა.“

KARLO CHKHEIDZE’S WORDS AT THE FUNERAL OF ILIA CHAVCHAVADZE,
PUBLISHED IN THE NEWSPAPER *CHVENI GZA [OUR WAY]* (September 11, 1907)
According to Soviet propaganda, the social democrats are often referred to as „ideological enemies of Ilia [Chavchavadze]“. This is contradicted by the words of Karlo Chkheidze on the funeral of Ilia Chavchavadze where he praises his talent, his merits, and promises that people will continue duties started by Ilia.

გაზეთი „ჩვენი გზა“, 1907, №6
Newspaper *Chveni Gza*, 1907, №6



პორტრეტი (უთარიღო)

KARLO CHKHEIDZE'S PORTRAIT (without date)

დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში
Preserved at the National Parliament Library of Georgia



№17. 72

СПРАВКА. Чхеидзе, Николай |Карлъ| Семеновъ, родился въ сел. Цути, Кутаисской губерніи въ 1863 году; воспитывался въ Кутаисской гимназіи, откуда вышелъ изъ VIII класса и поступилъ вольнослушателемъ въ Одесскій Университетъ, гдѣ слушалъ лекціи

Изъ карточки.

въ продолженіи цѣлаго года; въ 1889 году перешелъ въ Харьковскій Ветеринарный Институтъ, который покинулъ вслѣдствіе студенческихъ безпорядковъ. Проживая въ Батумѣ, Чхеидзе состоялъ гласнымъ Батумской Городской Управы съ 1898 по 1902 г. и смотрителемъ Батумской городской больницы съ 1902 по 1905 годъ; въ 1907 году былъ избранъ гласнымъ Тифлисской Городской Думы на основаніи опекунскаго ценза, не смотря на то, что никакихъ опекунскихъ обязанностей фактически не несъ; сотрудничалъ въ цѣломъ рядѣ соціалъ-демократическихъ газетъ.Избранъ въ члены Государственной Думы 3-го созыва, 14-го Октября 1907 года.

Въ 1906 году Чхеидзе |подъ именемъ Карла| приглашался при Кутаисскомъ Губернскомъ Жандармскомъ

დოკუმენტი კავკასიის რაიონის ოხრანკის სამმართველოს მიერ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრების თვალთვალის შესახებ (1909 წელი)
საქმეში დაცულია სოციალ-დემოკრატიული პარტიის თითოეული წევრის, მათ შორის კარლო ჩხეიძის, მოკლე ბიოგრაფია და ფოტოსურათი.

დოკუმენტი დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში
The document is preserved at the National Archives of Georgia



Управленіемъ къ дознанію по дѣлу о "вооруженныхъ скопищахъ 28-30 Ноября 1905 года въ зданіи Батумской Городской Управы" и розысканнаго циркуляромъ Департамента Полиціи отъ 23 Августа 1906 года за № 6060 подъ именемъ Карла Семенова Чхеидзе, дознаніе это было препровождено Прокурору Кутаисскаго Окружнаго Суда и по недостатку уликъ было прекращено въ отношеніи Чхеидзе. Подъ тѣмъ же именемъ Чхеидзе былъ привлеченъ при Кутаисскомъ Губернскомъ Жандармскомъ Управленіи по дѣлу о "всеобщей забастовкѣ на Закавказской желѣзной дорогѣ 10-го Декабря 1905 года", каковое дѣло было прекращено Тифлисской Судебной Палатой 20-го Января 1907 года. Кромѣ того 30-го Апрѣля 1907 года Чхеидзе, подъ именемъ Николая, былъ обысканъ и задержанъ за храненіе нелегальной литературы въ м. Чіатуры, Кутаисской губерніи, но производившаяся по этому случаю при томъ же Губернскомъ Жандармскомъ Управленіи переписка, за недостаточностью уликъ, была прекращена въ порядкѣ 1035-- ст. Уст. Уг. Суд.

10

№ 18.73

РАЗВКА.

Розенфельдъ, Левъ Борисовъ, партійная кличка "Каменевъ", родился 22-го Іюня 1883 года, потомственный почетный гражданинъ, бывшій студентъ Московскаго Университета, приготовлялъ 13-го Марта 1902 года на сходкѣ въ Московскомъ Университетѣ, откуда вмѣстѣ съ толпой студентовъ направился на Тверской бульваръ, для устроенія демонстраціи у памятника Пушкина, гдѣ былъ задержанъ и содержался подъ стражей 1 1/2 мѣсяца. Дѣло это въ отношеніи Розенфельда постановленіемъ Особаго Совѣщанія 25-го Апрѣля 1902 года прекращено.

Въ Февралѣ 1904 года Розенфельдъ привлекался при Московскомъ Губернскомъ Жандармскомъ Управленіи къ дознанію о Московской группѣ соціалъ-демократовъ, каковое за недостаточностью уликъ было прекращено постановленіемъ Московскаго Губернскаго

Совѣщанія 19-го Ноября 1904 года.

Въ 1907 году Розенфельдъ участвовалъ на состоявшихся въ Теріокахъ собраніяхъ общегородской конференціи соціалъ-демократической рабочей партіи и

THE ARCHIVAL DOCUMENT IS ABOUT THE TRACKING OF MEMBERS OF THE SOCIAL DEMOCRATIC PARTY OF RUSSIA BY THE *OKHRANKA* DIVISION OF THE CAUCASUS. (1909)
Brief biography and photograph of each member of the Social Democratic Party is included in archival item. Including Carlo Chkheidze's biography.

დოკუმენტი დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში
The document is preserved at the National Archives of Georgia

კარლო ჩხეიძე - რუსეთის იმპერიის პოლიტიკოსი (1910-იანი წლები)
1907 წელს კარლო ჩხეიძე თბილისის საქალაქო დუმის ხმოსანი გახდა. რუსეთში მას შემდეგ აღმოჩნდა, რაც მესამე სათათბირო დუმაში აირჩიეს. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი, მენშევიკების და ბოლშევიკების გაყოფის ინიციატორი და მთავარი მენშევიკი, იული მარტოვი წერდა: „აქაური კავკასიელები ამბობენ, რომ ჩხეიძე ყველაზე განათლებული მარქსისტია მთელს კავკასიაში“.

KARLO CHKHEIDZE – RUSSIAN EMPIRE’S POLITICIAN (1910’s).
In 1907, Karlo Chkheidze became a member of Tbilisi City Duma. The same year he was elected in the Third State Duma of the Russian Empire. The leader of the Social Democratic Party, initiator of division between the Mensheviks and Bolsheviks, and leader of the Mensheviks Julius Martov wrote: „Caucasians say that Chkheidze is the most educated Marxist in the Caucasus“.

ფოტო ინტერნეტიდან
Photo from the Internet

რუსეთის იმპერიის მესამე სათათბირო დუმის ბოლო სხდომა (1911 წელი)

LAST SESSION OF THE 3RD STATE DUMA OF THE RUSSIAN EMPIRE (1911)

ჟურნალი Огонёк, N43, 1911
Journal *Ogonyok*, N43, 1911

თავრიდის სასახლის სათათბირო დარბაზი
ამ დარბაზში იმართებოდა მე-3 და მე-4 სათათბირო დუმების სხდომები, სადაც ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე იყო დეპუტატი თბილისის გუბერნიიდან. 1917 წელს ის პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე აირჩიეს და ამ უმნიშვნელოვანეს თანამდებობას 1917 წლის 27 თებერვლიდან 1917 წლის 6 სექტემბრამდე იკავებდა. ის ამ პოსტზე შეცვალა ლევ ტროცკიმ.

CONVENTION HALL OF TAURIDE PALACE
In this hall sessions of the 3rd and 4th state duma were held where Nikoloz (Karlo) Chkheidze was a deputy from the Tbilisi governorate. Later he was the first chairman of the Petrograd Soviet of Workers' and Soldiers' Deputies and held this important position from February 27, 1917 to September 6, 1917. He was succeeded by Leon Trotsky.

ფოტო ინტერნეტიდან
Photo from the Internet

კარლო ჩხეიძის საჯარო მოხსენებები, გამოცემული პეტროგრადში (1917 წელი)

PUBLIC SPEECHES BY KARLO CHKHEIDZE, ISSUED IN PETROGRAD (1917)

ვერონიკა ჩხეიძის კოლექცია
Veronique Chkheidze Collection



პეტროგრადში გამოქვეყნებული წიგნი „ნ. ს. ჩხეიძის და მისი ამხანაგების - მ. ი. სკობელევის და ი. გ. წერეთლის გამოსვლები წარმოთქმული მინსკში, დასავლეთის ფრონტის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს საერთო კრებაზე, 1917 წლის 8 აპრილს“
ირაკლი (კაკი) წერეთელი და მატვეი (მათე) სკობელევი კარლო ჩხეიძის მთავარი მოკავშირეები და მეგობრები იყვნენ რუსეთის მეოთხე სათათბირო დუმაში.
სათათბირო დუმის დეპუტატები ფრონტზე მყოფი ჯარისკაცებისა და ფრონტის ხაზთან ახლოს მცხოვრები მუშების წინაშე წარსდგნენ მოხსენებებით, რათა აემაღლებინათ სამხედრო და სამუშაო განწყობა.

„N.S. CHKHEIDZE AND HIS COMRADES – M.I. SKOBELEV AND I.G. TSERETELIS' SPEECHES GIVEN AT MINSK, AT THE GENERAL MEETING OF THE WESTERN FRONT OF THE WORKERS AND SOLDIERS COUNCIL, ON APRIL 8, 1917“ - PUBLISHED IN PETROGRAD
Irakli (Kaki) Tsereteli and Matvei (Mate) Skobelev were Chkheidze's main allies and friends from the 4th State Duma of the Russian Empire. Deputies of the Duma gave speeches near the WWI frontline of the soldiers and workers to raise military and working mood among them.

ფოტო ინტერნეტიდან
Photo from the Internet

РѢЧИ

Предсѣдателя Всеросс. Центр. Исполн. Ком. Совѣтовъ Рабоч. и Солдатск. Депутатовъ

и

Петрогр. С. Р. и С. Д.

Н. С. ЧХЕИДЗЕ

и товарищей его

М. И. СКОБЕЛЕВА и И. Г. ЦЕРЕТЕЛИ

ПРОИЗНЕСЕННЫЯ НА СЪѢЗДѢ СОЛДАТСКИХЪ
и РАБОЧИХЪ ДЕПУТАТОВЪ ЗАПАДНАГО ФРОНТА
въ гор. МИНСКѢ 8-го АПРѢЛЯ 1917 года

Цѣна 30 коп.

(Печатается съ разрѣшенія авторовъ).

Складъ изданія А. Д. Арабидзе.
Петроградъ, Владимірскій пр., № 10, кв. 26. Тел. 163-20.
1917.

სახელმწიფო დუმა. დელეგეტებს შორის ნიკოლოზ სიმონის-ძე ჩხეიძე (მარცხნიდან მეექვსე), გიორგი ვალენტინის-ძე პლეხანოვი (მარცხნიდან მეხუთე), მის გვერდით - ირაკლი წერეთელი (1917 წლის 4–28 მაისი)

STATE DUMA. AMONG THE DELEGATES, GEORGE VALENTINOVICH PLEKHANOV (FIFTH FROM LEFT), NIKOLOZ CHKHEIDZE (SIXTH FROM LEFT), NEXT TO HIM – IRAKLI TSERETELI (4-28 May, 1917)

ფოტო დაცულია სანქტ-პეტერბურგის კინოფოტოფონოდოკუმენტების არქივში
The photo is preserved at the Film-Photo-Audio archive of St. Petersburg

რუსეთის იმპერიის მეოთხე სათათბირო დუმის წევრების ჯგუფური ფოტო (1917 წელი)
პირველ რიგში მარჯვნიდან მარცხნივ: ირაკლი წერეთელი, კარლო ჩხეიძე, გიორგი პლეხანოვი.

THE GROUP PHOTO OF THE MEMBERS OF THE FOURTH STATE DUMA OF RUSSIAN EMPIRE (1917)
First row, from right to left: Irakli Tsereteli, Karlo Chkheidze, Georgi Plekhanov.

ვერონიკა ჩხეიძის კოლექცია
Veronique Chkheidze Collection

კარლო ჩხეიძე მიმართავს ბალტიური ფლოტის წარმომადგენლებს პეტროგრადში, თავრიდის სასახლის წინ (1917 წელი)

KARLO CHKHEIDZE WELCOMES THE REPRESENTATIVES OF THE BALTIC FLEET IN PETROGRAD, IN FRONT OF THE TAURIDE PALACE (1917)

ვერონიკა ჩხეიძის კოლექცია
Veronique Chkheidze Collection

Изъ газеты "Сѣверное Утро" № 75 (2233)
23 (10) марта 1919 г. (Архангельскъ).

НЕБЛАГОДАРНАЯ ОХРАНА.

Стало извѣстно, наконецъ, о выступленіяхъ въ Парижѣ Чхеидзе, Церетели и проч. представителей Грузіи. Они хлопочутъ передъ Европой о своей самостоятельности. О Россіи теперь представители маленькаго народа выражаются очень корректно. Лишняго не говорятъ. Помнятъ лишь одно, что они нѣкогда великой странѣ могутъ теперь продиктовать условія... Дѣйствительно, какъ мѣняются времена. Когда началась революція и власть въ Россіи, тогда еще могущественной, законно получивъ исполнительный комитетъ Государственной Думы, то столичныя газеты писали, что въ этотъ комитетъ не попалъ какими то судьбами Чхеидзе. И вотъ на другой же день, въ видѣ какой то непонятной политической игры, онъ сформировалъ въ противовѣсъ Государственной Думѣ совѣтъ солдатскихъ и рабочихъ депутатовъ, и затѣмъ ужъ въ великой странѣ началось то, чему всѣ мы печальные свидѣтели, о чемъ говорить до глубины души тяжело каждому русскому человѣку. Совѣты и совдепы довели великую Россію до позора и поставили обширную страну на край гибели. Между тѣмъ вѣдь, именно, великая то Россія и спасла крошечную Грузію. Въ тѣ, еще далекія времена, когда сами русскіе люди гибли тысячами въ борьбѣ со степными хищниками, доводившими свои набѣги до предѣловъ Калужской губ. и самой Москвы, когда Россія занята была этой кровавой борьбой съ азіатскими ордами, а Европа дѣлала во всемъ большіе успѣхи, къ ней уже обращала свои взоры за помощью Грузія. Извѣстно, что она еще Ивана Грознаго просила принять ее въ свое подданство? И съ этихъ поръ Грузія не прекращаетъ такія свои просьбы къ Россіи, а Русское Правительство своей поддержки маленькой странѣ. Въ XVII вѣкѣ грузинскій царь Теймуразъ былъ у Алексѣя Михайловича въ Москвѣ, принимая присягу на подданство Россіи. Персы опустошали Грузію съ чисто азіатскимъ варварствомъ, на подобіе нынѣшнихъ большевиковъ, и Грузія искала защиты у единовѣрнаго русскаго народа. Россія сдерживала Персію. Россія съ широкимъ гостепріимствомъ давала у себя пріютъ грузинскимъ эмигрантамъ. Можно безо всякаго преувеличенія сказать, что Россія спасала и спасла Грузію во

